საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეძისხევი

ვეძისხევი, ნასოფლარი ყვარლის მუნიციპალიტეტში ალაზნის მარცხ. მხარეს, სოფ. შილდის მახლობლად. პირველად იხსენიება XII ს. დასაწყისში, როდესაც ვ. საფეოდალო მამულს წარმოადგენდა. ისტ. წყაროში (დავით აღმაშენებლის სიგელი არიშიანისადმი, XII ს. I მეოთხედი) მოხსენიებულია ჰერეთის ერთ-ერთი აზნაური, ვეძისხეველი ნიანია გრიგოლ მაოხრებლის შვილი, რ-იც ჰერეთის დიდებული აზნაურის, არიშიანის მფარველობაში იმყოფებოდა. უფრო გვიან, XVI ს. მიწურულიდან, ვ. მცხეთის საკათოლიკოსოს სამწყსოში შევიდა.

წყარო: ცინცაძე ი., დავით მეფის სიგელი, «საქართველოს არქივი», წგ. 2, ტფ., 1927.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი